

**საქართველომ უნდა გადაუნადგოს  
 ნატოს მშპ-ს 2%. სანაცვლოდ  
 არაფრის გარანტიას არ გვაძლევან** 3



**«ნატომ ათასობით  
 აღამიანი მოკლა  
 და ყველაფერი იმით  
 გააგართლეს, რომ  
 თურქე აღამიანის  
 უფლებები ითხოვდა  
 ამ სისასტიკეს...»**



**რა თანაუბი ნაგოიწყო  
 სალოგე ზურაბიშვილგე?** 8



**კარინსკი: რვენ «არა»-ს ვეუბნებოთ  
 ჰომოსექსუალთე ჰორენებეს!**



**რვენი  
 მთავროგე  
 გებედავს ამის  
 გებეოროგეს?** 3

**იბალიის გეგალითი —  
 გეკვეთილი ქართველებისტვის** 9



**ბერლინი — კიევს: თევი შორს დეიჭირათ  
 კონსტანტინოპოლის პატრიარქისგენ** 16





# ინტერვიუ

www.geworld.ge

თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ნატომ, იმავამ ამერიკამ, საომარი მოქმედებების დაწყების გადაწყვეტილება ისა მიიღო, გაეროს თანხმობა არ ჰქონია. მეტიც, ის არათუ დაელოდა ამ თანხმობას, არც კი დაუწყებია საჰაერო, იყო თუ არა ის საჭირო. ამით ვაშინებთონმა ხაზი გაუსვა იმას, რომ საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ მას, პრაქტიკულად, საპირფონო ქალა ალარ ჰყავდა და, როგორც ყველაზე მძლავრი სახელმწიფო, განსაკუთრებული პრივილეგიებით სარგებლობდა საერთაშორისო პოლიტიკურ ასპარეზზე.**



**გურამ ნიკოლაიშვილი:**

# ნატო ათასობით ალაშიანი მოკლა და ყველაფერი იმით გააგართლეს, რომ თურქმა ალაშიანის უფლებები იტხოვდა ამ სისასტიკეს...

24 მარტს 20 წელი შესრულდა მას შემდეგ, რაც „ცივილიზებული მსოფლიომ“ მისი მთავარი ჰეგემონისა და მენტორის — ამერიკის შეერთებული შტატების — ხელმძღვანელობით გადაწყვიტა, რომ იუგოსლავიის ყოფილი რესპუბლიკა სერბეთი, რომელიც იმხანად თავის საკუთარ ტერიტორიაზე კონსტიტუციური ნესრიგის აღდგენას ცდილობდა, „საერთაშორისო სამართლებრივი ნორმების უხეშად დარღვევის გამო“ მკაცრად უნდა დასჯილიყო. 1999 წლის 24 მარტს ჩრდილო-ატლანტიკური ალიანსის საპაერო ძალებმა ბელგრადზე პირველი მასირებული იერიში მიიტანეს და ტერიტორიული მთლიანობისთვის მებრძოლ სერბ ხალხს დემოკრატიის სახელით სისხლიანი კალო მოუწყვეს.

ამ წარმოდგენელ სამხედრო და პოლიტიკურ სისასტიკეს, რომელიც ნატოსთან ერთად ტერორისტული ორგანიზაცია „ალ-ქაიდაც“ აქტიურად მონაწილეობდა, ათასობით უდანაშაულო მოქალაქის სიცოცხლე შეენარა. დაიბოძა და განადგურდა ინფრასტრუქტურა, საწარმოები და სამრეწველო ობიექტები, მართლმადიდებლური ტაძრები. (!) შეტევები განსაკუთრებით ინტენსიური იყო ალდგომის დღეებში (გავრცელებული ცნობების თანახმად, მოსახლეობა დაბომბვების შედეგად განადგურებული აგურის ნანგრევებში ხშირად პოულობდა ჭურვის ნამსხვრევებს წარწერით: „გილოცავთ აღდგომას“). ქვეყანა ჰუმანიტარული კატასტროფის ზღვრამდე მივიდა. მშვიდობიანი მოსახლეობა ნატოს ფართომასშტაბიანი სამხედრო აგრესიის წინაშე სრულიად დაუცველი აღმოჩნდა. ამ დემოკრატიული დასავლეთი „ამ ყველაფერი იმით ხსნიდა, რომ თურმე სერბეთის სამთავრობო ძალებს მიერ შევიწროებული ალბანურ მოსახლეობას სასწრაფო ჰუმანიტარული დახმარება სჭირდებოდა. მეტიც, კონფლიქტის გავრცელებაში, რომელიც კოსოვოს მკვიდრმა ალბანელმა სეპარატისტებმა დაიწყეს, პასუხისმგებლობა სერბეთის პოლიტიკურ ხელმძღვანელობას დაევალა. დამნაშავედ გამოცხადდა პრეზიდენტი **სლობოდან მილოშვილი** და მისი გარემოცვა. ის დაადანაშაულეს ეთნოწმენდასა და სხვადასხვა სახის სამხედრო დანაშაულის ჩადენაში არა მხოლოდ სერბეთში, არამედ ხორვატისა და ბოსნიამში. მოკლედ, ომიდან დაახლოებით წელიწად-ნახევრის შემდეგ მილოშვილის ცნობილი დასავლური სცენარით რევოლუცია მოუწყვეს (ე.წ. ბულღოზერების რევოლუცია) და გადადგომა აიძულეს, 2001 წელს კი იგი დამნაშავის სტატუსით ჰააგის ტრიბუნალს გადასცეს. 5-წლიანი პატიმრობის შემდეგ ყოფილი პრეზიდენტი ჰააგის ციხეში ისე გაიდაცვლა (ოფიც-

ალური ვერსიით, გულის შეტევით), რომ ტრიბუნალმა მისთვის განაჩენის გამოტანა ვერ მოახერხა. უფრო სწორად, შეგნებულად განელეს პროცესი, რომ განაჩენი არ გამოეტანათ. რაც შეეხება ნატოს ძალების მიერ სერბეთის მშვიდობიან მოსახლეობაზე განხორციელებულ აგრესიას, დასავლეთმა ეს ყველაფერი ისევ დემოკრატიისა და ადამიანის უფლებების დაცვის აუცილებლობით ახსნა. კანონიერ ქმედებად გამოცხადდა ყველა დანაშაული, რომლებიც ალიანსის ხელმძღვანელობამ ჩაიდინა ქვეყნის ტერიტორიაზე; მერე კი იმაზეც დაიწყო საუბარი, რომ კოსოვო „განსაკუთრებული შემთხვევა“ და მისი დამოუკიდებლობის აღიარება საერთაშორისო სამართლის დარღვევა არ იქნება. ერთი სიტყვით, 2008 წელს სერბეთს ისტორიული მიწა ჩამოეჭრა და მსოფლიო რუკაზე ახალი „დამოუკიდებელი სახელმწიფო“ გაჩნდა. პირველმა ეს „სახელმწიფო“ სწორედ აშშ-მა აღიარა, შემდეგ — ევროპის ქვეყნებმა... ჩვენდა სამწუხაროდ და საუბედუროდ, საქართველოს ხელისუფლება მიესალმა ბელგრადის დაბომბვებსაც 1999 წელს და კოსოვოს აღიარებასაც 2008 წელს.

რატომ იყო დაინტერესებული აშშ სერბეთის დაბომბვით და რას ნიშნავდა საქართველოსთვის, როგორც ტერიტორიული მთლიანობის პრობლემების მქონე სახელმწიფოსთვის, კოსოვოს დამოუკიდებლობა, რომელმაც ჩვენთვის არასასურველი პრეცედენტი შექმნა?

**ამ და სხვა მნიშვნელოვან საკითხებზე გვესაუბრება გენერალ-ლეიტენანტი გურამ ნიკოლაიშვილი.**

— ბატონო გურამ, ოცი წელი გავიდა მას შემდეგ, რაც ნატოს ძალებმა სერბეთს საკუთარ ტერიტორიაზე კონსტიტუციური ნესრიგის აღდგენის მცდელობისთვის ომი გამოუცხადეს და მასირებული საპაერო იერიშებით ქვეყანა, პრაქტიკულად, მიწასთან გაასწორეს. ამას მოყვა



**«სრულიად მსოფლიომ ნახა ის უპიძესი კლკაბი, რას აკეთებდა ამერიკის ავიაციის ბელგრადის ხაზზე, რა ჯოჯოხეთი დაუტრიალეს მშვიდობიან მოსახლეობას. მსოფლიომ ნახა ნანგრევებად ქმარული პარტიზანული ბაქაბი, ნახარტუტად ქმარული ქალაქები და გაუბედურებული ალაშიანები»**

პროცესი, რომელიც კოსოვოს „დამოუკიდებლობით“ დასრულდა. რა მიზნებსა და პოლიტიკურ ამოცანებს ემსახურებდა ეს ყველაფერი? — ნატომ, იმავამ ამერიკამ, საომარი მოქმედებების დაწყების გადაწყვეტილება ისა მიიღო, გაეროს თანხმობა არ ჰქონია. მეტიც, ის არათუ დაელოდა ამ თანხმობას, არც კი დაუწყებია საჰაერო, იყო თუ არა ის საჭირო. ამით ვაშინებთონმა ხაზი გაუსვა იმას, რომ საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ მას, პრაქტიკულად, საპირფონო ქალა ალარ ჰყავდა და, როგორც ყველაზე მძლავრი სახელმწიფო, განსაკუთრებული პრივილეგიებით სარგებლობდა საერთაშორისო პოლიტიკურ ასპარეზზე. — თუმცა გარკვეული ლეგიონი იყო კონფლიქტის წარმოჩენა, როგორც ჰუმანიტარული კატასტროფის. გარდა ამისა, თუ შეერთებული შტატები მხოლოდ საკუთარი ძალებით ჩაერეოდა კონფლიქტში, ეს მაინც ერთი სახელმწიფოს ინტერესებზე აღიქმებოდა. ამ ფორმით კი, ბუნებრივია, გაცილებით რთული იქნებოდა იმის წარმოჩენა, თითქოს განვითარებული მოვლენები საერთაშორისო საზოგადოების

70 წლის განმავლობაში საბჭოთა კავშირი ადგენდა თამაშის წესებს. — სერბეთი ამ მოცემულ ბაზაზე ვერ „ჩაჯდა“? — სერბეთი, როგორც პოსტსოციალისტური სახელმწიფო, ისევე რჩებოდა რუსეთის გავლენის ქვეშ. ეს კი, ცხადია, სრულიად ამოვარდნილი იყო იმ პოლიტიკური კონიუქტურიდან, რომელიც საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ შეიქმნა რეგიონში... ის, რაც შემდეგ ამ ქვეყანაში ჩაიდინეს, რაც შემთხვევაში ეწინააღმდეგებოდა თვით დასავლეთის მიერ დადგენილ თამაშის წესებს, მაგრამ, მიუხედავად ამ-

გიურ-პოლიტიკური დღის ნესრიგის წინააღმდეგ წამსვლელ ნებისმიერ სახელმწიფოს. ეს იყო ძალისა და შესაძლებლობების წარმოჩენა... — საქართველოს ჭრილობი შევხედოთ ამ ყველაფერს. კოსოვოს აღიარებაზე დღემდე ერთი აზრი ჩვენს ქვეყანაშიც არ არსებობს: ზოგი თვლის, რომ ამით ჩვენთვის არაფერი შეცვლილა; ზოგიც ცენდენტი შეიქმნა. თქვენ როგორ ფიქრობთ? — თეთრი სახლი კარგა ხნის განმავლობაში არწმუნებდა მსოფლიოს, რომ კოსოვო განსაკუთრებული შემთხვევაა და მისი აღიარება დამოუკიდებელ სახელმწიფოდ საერთაშორისო სამართლის დარღვევა არ იქნებოდა, მაგრამ ამერიკელების არგუმენტები კრიტიკას ვერ უძლებდა. რატომ უნდა გამოცხადებულყო სუვერენული ქვეყნის ერთი ისტორიული მხარე დამოუკიდებელ სახელმწიფოდ, გაუგებარი დარჩა, თუმცა მათთვის ამას ხელი არ შეუძლია დანეშებული საქმის ბოლომდე მიყვანაში. რაც შეეხება საქართველოს, რთულია ერთმნიშვნელოვნად თქმა, მოახდინა თუ არა კოსოვოს დამოუკიდებლად გამოცხადებამ აფხაზეთისა და სამჩაბლოს აღიარების პროცესზე რამე გავლენა, მაგრამ ფაქტია: როგორც დასავლეთმა ვერ ახსნა და გაამყარა თავის დროზე რეალური არგუმენტებით თავისი გადაწყვეტილება სერბეთის მიმართ, ისე რუსეთსაც არ დასჭირვებია დიდ ახსნა-განმარტებები. დიდ სახელმწიფოებთან ურთიერთობაში ჩვენ ერთი რამ უნდა გვახსოვდეს: როდესაც საქმე მათ სტრატეგიულ ინტერესებს ეხება, საერთაშორისო სამართალს შეიძლება მხოლოდ ძალა წარმოადგენდეს. ასე მოხდა სერბეთის შემთხვევაში და ასე გვემართება ჩვენც. ოღონდ ჩვენგან განსხვავებით, იქ მეტ-ნაკლებად მოვიდნენ აზრზე — ჩაუღრმავდნენ, სად რა შეცდომები დაუშვეს. აქ კი ხელისუფლებაში მოკალათებული ცხელი თავების ხროვა სისულელის კეთებას განაგრძობს.

**ესაუბრა ჯაბა ჟვანია**

**P.S.** კოსოვო და მისი მართლმადიდებლური ტაძრები იგივეა სერბებისთვის და მსოფლიო მართლმადიდებლობისთვისაც, რაც ჩვენთვის მცხეთა და სვეტიცხოველი. ასე რომ, იუგოსლავიის და კოსოვოს ტაძრების განადგურება მართკრიტიკური აქცია არ იყო, ეს მართლმადიდებლობის მოსასპობად დაწყებული ცხელი ომი უფრო იყო.

# საქართველოს ნატოსთვის



www.geworld.ge

თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95


**„რუსეთი პირდაპირ გვეუბნება: ნატოსკენ სწრაფვა კარგია, ევროკავშირისკენ სწრაფვა კარგია, მაგრამ ჩვენ ვერასოდეს შევებუებით ამ ორბანდინაციებში თქვენს შესვლას. საქართველო კი არა, რუსეთის მეზობელი ფინეთი, რომელიც არის დემოკრატიული, განვითარებული, ძლიერი ქვეყანა, თავს იკავებს ნატოში შესვლაზე. როდესაც ფინელებს ამას სთავაზობენ, ამბობენ, ნატო ჩვენთვის საფრთხის შემცველიაო“.**



**თამარ კიკნაძე:**

## საქართველო უნდა გადაიხადოს გზა-ს 2% ნატოსთვის და ეს გაუინ, როდესაც არაფრის ბარანტი არ გვაქვს სანახევლოდ

24 მარტს საქართველოს ენვია ნატოს გენერალური მდივანი იენს სტოლტენბერგი. „საქართველო და ნატო ერთობლივად გადაწყვეტენ, როდის უნდა გახდეს საქართველო ჩრდილოატლანტიკური ალიანსის წევრი, და არც ერთ სხვა მხარეს არ აქვს ჩარევის უფლება“, — განაცხადა სტოლტენბერგმა საქართველოს პრემიერმინისტრ მამუკა ბახტაძესთან ერთად გამართულ პრესკონფერენციაზე, როდესაც უპასუხა კითხვას: რა ფაქტორი აქვს რუსეთს ნატოში საქართველოს განწევრების პროცესში? ჩრდილოატლანტიკური ალიანსის ხელმძღვანელის თქმით, ნატოში ინტეგრაციისთვის საქართველომ უნდა განახორციელოს რეფორმები, მათ შორის, სასამართლო სისტემის და მოახდინოს თავდაცვის სფეროს მოდერნიზაცია. იენს სტოლტენბერგმა აღნიშნა, რომ საქართველომ უნდა დააკმაყოფილოს ნატოს სტანდარტები, რათა მოიპოვოს ალიანსის წევრობა. რისთვის ჩამოვიდა სინამდვილეში ნატოს გენერალური მდივანი საქართველოში? ამ თემაზე კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის პროფესორი თამარ კიკნაძე გვესაუბრება:



### «გვეუბნებიან, რომ ფული უნდა გადაიხადოთ ნატოს წევრობისთვის, გვეუბნებიან იმასაც, რომ რუსეთის საქმე არ არის, რა ქარსს უირჩევს საქართველო, მაგრამ არაფრის გვეუბნება, ნავა თუ არა ნატო რუსეთის წინააღმდეგ, თუ საფრთხე დაგვიუქრება. ნატო გვეუბნება, რომ ქარსი არაფრის დიდებით არ უნდა შევხვალეთ, ოღონდ დახვას არ გვიჩვენებ. უსაფრთხოების ბარანტი გვაქვს ამ ვიზიტისას მოვიხილეთ რაზე»

— საქართველო პატარა ქვეყანაა კი არის, მაგრამ, კარგად მოგესვენებათ, გეოსტრატეგიული მდებარეობა აქვს ძალიან სახარბიელო. აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ საგარეო კურსი, რომელიც ჩვენი ქვეყნის ხელისუფლებას აქვს გაცხადებული, დასავლეთისთვის ძალიან მნიშვნელოვანია. მათ მოსწონთ, რომ საქართველო პროდასავლური ქვეყანაა, ამიტომ სულ ცდილობენ, ამ პატარა ქვეყანაში კურსი არ შეიცვალოს.

თავდაცვის ზომების, მათ შორის სამხედრო ძალების, გამოყენება უნდა მოხდეს მხოლოდ აუცილებლობის შემთხვევაში.

ჩრდილოატლანტიკური ალიანსის გენერალური მდივანი იენს სტოლტენბერგი ჩამოვიდა და განვიცხადებ: საქართველოს ნატოსკენ მიმავალ გზაზე საკმაოდ დიდი ნარმატივები აქვს, მაგრამ საჭიროა დემოკრატიზაციის კიდევ უფრო გაღრმავება. ის შეეხო სასამართლო ხელისუფლების საკითხსაც, აგრეთვე, ისაუბრა ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზეც, მაგრამ არის ერთი ძალიან მნიშვნელოვანი საკითხი — **საქართველომ უნდა გადაიხადოს მთლიანი შიდა პროდუქტის ორი პროცენტი თავისი მიზნებისთვის და ეს მიზნები ნატომ უნდა განაწილოს თავისთვის, ე.ი. ფაქტიურად ნატომ უნდა ვსაძლავოთ ფული. და ეს მაშინ, როდესაც საქართველო არ არის ნატოს წევრი. ბარაბა ამისა, ჩვენს არ გავრცელებს ნატოს წესდების მისთვის და ეს მიზნები ნატომ უნდა განაწილოს თავისთვის, ე.ი. ფაქტიურად ნატომ უნდა ვსაძლავოთ ფული. და ეს მაშინ, როდესაც საქართველო არ არის ნატოს წევრი. ბარაბა ამისა, ჩვენს არ გავრცელებს ნატოს წესდების მისთვის და ეს მიზნები ნატომ უნდა განაწილოს თავისთვის, ე.ი. ფაქტიურად ნატომ უნდა ვსაძლავოთ ფული. და ეს მაშინ, როდესაც საქართველო არ არის ნატოს წევრი.**

ჩრდილოატლანტიკური ალიანსის გენერალური მდივანი იენს სტოლტენბერგი ჩამოვიდა და განვიცხადებ: საქართველოს ნატოსკენ მიმავალ გზაზე საკმაოდ დიდი ნარმატივები აქვს, მაგრამ საჭიროა დემოკრატიზაციის კიდევ უფრო გაღრმავება. ის შეეხო სასამართლო ხელისუფლების საკითხსაც, აგრეთვე, ისაუბრა ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზეც, მაგრამ არის ერთი ძალიან მნიშვნელოვანი საკითხი — საქართველომ უნდა გადაიხადოს მთლიანი შიდა პროდუქტის ორი პროცენტი თავისი მიზნებისთვის და ეს მიზნები ნატომ უნდა განაწილოს თავისთვის, ე.ი. ფაქტიურად ნატომ უნდა ვსაძლავოთ ფული. და ეს მაშინ, როდესაც საქართველო არ არის ნატოს წევრი. ბარაბა ამისა, ჩვენს არ გავრცელებს ნატოს წესდების მისთვის და ეს მიზნები ნატომ უნდა განაწილოს თავისთვის, ე.ი. ფაქტიურად ნატომ უნდა ვსაძლავოთ ფული. და ეს მაშინ, როდესაც საქართველო არ არის ნატოს წევრი.

იცის, რა არჩევანს გააკეთებენ უკრაინელები. — **ოფიციალური ინფორმაციაში ნატოსთვის მთლიანი შიდა პროდუქტის გადახდაზე არაფერი უთქვამთ...** — იენს სტოლტენბერგმა ამაზე ისაუბრა, მან გარკვევით თქვა, რომ ნატოს წევრობისთვის საქართველომ ქვეყნის მშპ-ის ორი პროცენტი უნდა გადაიხადოს, თუ ნატოს წევრობა უნდა. ეს თავდაცვისთვის თანხების გამოყოფაზე ფრაზით შენიღბა. — **ჩვენი ქვეყნის ხელისუფლება გადახდაზე თანახმაა? როგორც ცნობილია, ნატოს წევრ ბევრ ქვეყანას არ აქვს ამის გადახდის უნარი...** — დიახ, ბევრ ქვეყანას არ აქვს გადახდის უნარი, მაგალითად, ჩინეთი 1,05%-ს იხდის, 1 პროცენტზე ნაკლებს იხდის სლოვენია (0,98%-ს),

აღრე ამერიკის შეერთებული შტატები დიდძალ ფულს ხარჯავდა ნატოზე და იმხანად ეს ორგანიზაცია უსაფრთხოების ქოლგა იყო დასავლეთის ქვეყნებისთვის, რომლებსაც ჰქონდათ შესაძლებლობა, რემელშიც იგი უკმაყოფილებას გამოთქვამს მათი მხრიდან ვალდებულებების შეუსრულებლობის გამო, რომელიც თავდაცვის მიზნით გამოყოფილი თანხების გაზრდას ითვალისწინებდა. გერმანიის კანცლერ ანგელა მერკელისთვის გაგზავნილ წერილში აღწერილია თანხების მიხედვით, რომ ბერლინის მიერ გაგზავნილი არასაკმარისი თანხა ძირს უთხრის ალიანსის უსაფრთხოებას და სხვა ნევრ ქვეყნებსაც აქვთ უსაფრთხოების პრობლემები.

დასავლეთის ქვეყნები ნატოს ხარჯზე თავდაცვისთვის ბევრ ფულს არ ხარჯავდნენ. ახლა, ტრამპის გაზრდილ თანხების შემდეგ, ვითარება შეიცვალა. ამერიკის პრეზიდენტი მთლიანი შიდა პროდუქტის ორი პროცენტის გადახდას ითხოვს, როგორც ეს წესდებაში უნერიათ; გარდა ამისა, ქვეყნებმა, რომლებშიც განლაგებულია ნატოს ბაზები, უნდა გადაიხადონ ბაზების შენახვის ღირებულებას პლუს მისი 50 პროცენტი, ეს ყველაფერი მძიმე ტვირთად

— მსოფლიოში ძალიან მნიშვნელოვანი ძვრები მიმდინარეობს, ახალი მსოფლიო წესრიგი ყალიბდება, დასავლეთის სტრუქტურა გარანტი, რომ საქართველო არ გადაუხვევს არჩეულ კურსს, ისინი ამაში დარწმუნებული უნდა იყვნენ. საგულისხმოა ისიც, რომ უკრაინაში საპრეზიდენტო არჩევნებია, მათ ესეც აქვთ განხორციელებული, რადგან პრეზიდენტი უნდა იყოს უკრაინელი.

### «ნატო გვეუბნება, გახსნა და გავაძლიეროთ საქართველო, მაგრამ არაფრის გვეუბნება, ნავა თუ არა ნატო რუსეთის წინააღმდეგ, თუ საფრთხე დაგვიუქრება. ნატო გვეუბნება, რომ ქარსი არაფრის დიდებით არ უნდა შევხვალეთ, ოღონდ დახვას არ გვიჩვენებ. უსაფრთხოების ბარანტი გვაქვს ამ ვიზიტისას მოვიხილეთ რაზე»

დაანგება დასავლეთის ქვეყნებს. ამერიკის მიდგომა ნატოს წევრი ქვეყნებისადმი კონსერვატიულია.

— თუკი დასავლეთის განვითარებული და ძლიერი ქვეყნების ეკონომიკას მძიმედ დაანგება ნატოსთვის მშპ-ს 2 პროცენტის გადახდა, ისედაც გაღატაკებულ საქართველოს რა ეშველება? ან გვიღირს კი ამ გადასახადის გადახდა?

— ამხელა ფულის გადახდა იმის გამო, რომ მხოლოდ სურვილი გაქვს ნატოს წევრობის, თანაც მაშინ, როდესაც არანაირი გარანტია არ გაქვს უსაფრთხოების დაცვისა, არის თუ არა გონივრული, ამის განსაზღვრა მკითხველისთვის მიმინდვია.

— სუვერენული ქვეყანა ხართ, — გვეუბნებიან, მაგრამ ჩვენი ნების წინააღმდეგ ფულის გადახდას გვთხოვენ... თუ საქართველოს ხელისუფლება სიამოვნებით აპირებს ამ თანხის გადახდას?

— ნატო გვეუბნება: გაცხადებული გაქვთ საგარეო კურსი, ჯიუტად მიდიხართ ნატოსკენ, რომლის კარიც ღიაა თქვენთვისო. **ბასსოვით, ალბათ, ლოზუნგი — «მეტი ნატო საქართველოში და მეტი საქართველო ნატოში!»** აი, ამისთვის ითხოვენ ისინი ფულის გადახდას, რომ ლამაზად გვაჩვენებინან ტყუილებას.

ნატოსკენ სწრაფვა ხშირად უკან გვხვს. ნატოს წევრობა 1990-იან წლებში რომ მოგვეპოვებინა, ანუ მაშინ, როდესაც რუსეთი დასუსტებული იყო, ყველაფერი სხვაგვარად იქნებოდა, მაგრამ დღეს, როდესაც ჩვენი მეზობელი ქვეყანა ასეთი ძლიერია, ნატოსკენ სწრაფვა დიდი საფრთხის შემცველია.

რუსეთი პირდაპირ გვეუბნება: ნატოსკენ სწრაფვა კარგია, ევროკავშირისკენ სწრაფვა კარგია, მაგრამ ჩვენ ვერასოდეს შევეგუებით ამ ორბანდინაციებში თქვენს შესვლასო. საქართველო კი არა, რუსეთის მეზობელი ფინეთი, რომელიც არის დემოკრატიული, განვითარებული, ძლიერი ქვეყანა (სხვათა შორის, ფინეთი ასეთი გახდა მას შემდეგ, რაც ნეიტრალიტეტი გამოაცხადა და საპასუხოდ რუსეთმა სავაჭრო-ეკონომიკური პრივილეგიები მიანიჭა. — რედ.), თავს იკავებს ნატოში შესვლაზე. როდესაც ფინელებს ამას სთავაზობენ, ამბობენ, ნატო ჩვენი საფრთხის შემცველიაო.

#### ესაუბრა ეპა ნასყიდაშვილი

**ცნობისთვის:** რა უნდა ნატოს შენახვა და ვინ იხდის ამის საფასურს?

ნატო სამთავრობათაშორისო ორგანიზაციაა, რომელსაც ნევრი სახელმწიფოები ამარაგებენ მისი ყოველდღიური ფუნქციონირებისთვის საჭირო რესურსებით. არსებობს სამი ბიუჯეტი: ერთი — სამოქალაქო და ორი — სამხედრო. ყოველ წევრ ქვეყანას შეაქვს ბიუჯეტში გადასახადების განაწილების ფორმული განსაზღვრული თანხა და ის განისაზღვრულია თითოეული ქვეყნის მთლიანი შიდა პროდუქტის გათვალისწინებით. ეს ბიუჯეტები წარმოადგენენ მთლიანობაში ნატოს ქვეყნების თავდაცვის ბიუჯეტების ნახევარ პროცენტზე ნაკლებს (ინფორმაცია აღებულია ვებგვერდიდან «საქართველო და ნატო»).



მაისი მოდის... ზოგადად, მაისი ჩემს ბავშვობაში შხაპუნა წვიმასთან, საადრეო ხილის შემოსვლასთან, სწავლის ბოლო თვესთან, არდადეგების მოახლოებასთან და ათას სასიამოვნო რამესთან ასოცირდებოდა. ახლა კი, ზუსტად არ მახსოვს, რამდენი წელია, და მაისის მოსვლა იმასთან ასოცირდება, რომ ლგბტ თემის წარმომადგენლები ისევ შეეცდებიან ქუჩაში გამოსვლას, ისევ შეეცდებიან ტოლერანტობის სახელით თავს მოგვახვიონ ის, რაც ერსა და ბერს არ უნდა. სწორედ ერსა და ბერს, რადგან 17 მაისი, ლგბტ თემის „დღესასწაულის“ საპირწონედ, საპატრიარქო მოჯახის სინდონის დღედ გამოაცხადა.

მიუხედავად იმისა, რომ თუ-ნდაც შარშან ათათასობით ადამიანმა ოჯახის სინდონის დღის აღსანიშნავად მსვლელობა მოაწყო, ტელევიზიებმა მაინც ის გააშუქეს, როგორ ცდილობდა ლგბტ თემის 5-6 წარმომადგენელი ფერადი დროშების გაშლას და იმის პროპაგანდას, რაც, მაგალითად, ყველა ჩვენს მეზობელ ქვეყანაში აკრძალულია.

როცა ლგბტ თემის წარმომადგენელთა მიმართ ვინმე კრიტიკას გაბედავს, მაშინვე გამოჩნდება რამდენიმე არასამთავრობო, რომლებიც მათ ქომავლობას იწყებენ და ამას ისე აგრესიულად აკეთებენ, რომ ხანდახან ეჭვი გეპარება, ვინ არის უმცირესობა და ვინ — უმრავლესობა. პარალელურად, საქმეში ერთვებიან ევროპული თუ ამერიკული არასამთავრობოები, როგორც მათ უნდობენ, გავლენიანი საერთაშორისო ორგანიზაციები და გამოგზავნილი წერილებსა თუ რეკომენდაციებში მკაცრად მიგვიითებენ, რომ ლგბტ თემის წარმომადგენლები ხელშეუხებელი არიან; რომ ჩვენ ველურებით კი არ უნდა მოვიქცეთ, არამედ ტოლერანტები უნდა ვიყოთ; მათ, პრაქტიკულად, ყველაფრის უფლება უნდა მივცეთ, თავზე უნდა დავისვათ და მერე რა, თუ კაბიან ცაცისა და შუა ქუჩაში ერთმანეთზე ვნებანდა ჩაკონებულ ქალებს ბავშვები დინახავენ — ჩვენი მომავალი თაობა, ის ბავშვები, რომლებსაც ქართველებად ვზრდით, ცვდილობთ, ძველი ტრადიციები არ დაივიწყონ და აქამდე სისხლით მოტანილი ქართველობა არ დაკარგონ. ჰო, გაუფასურდა ეს სიტყვაც — ქართველობა... ისე ხმარობენ, ისე თელავენ, როგორც „დიდოელი ლეკი ნაბადასა“, თუმცა...

ამას არაფერი აქვს საერთო ტოლერანტობასთან. ეს უნდა ერთნაირქესიანი პირების კავშირებს, ქორწინებასა და და მათ უფლებას, ბავშვი იშვილონ. მსურს, მკაფიოდ განვაცხადოთ ჩვენი პოზიცია: ჩვენ ამას „არა“-ს ვუუბნებთ. შორს ხელები ჩვენი ბავშვებისგან! — განაცხადა პოლონეთის მმართველი პარტიის — „სამართალი და სამართლიანობის“ ლიდერმა იაროსლავ კაჩინსკიმ.

კაჩინსკის კი პოლონეთში ისეთივე თანამდებობა უკავია, როგორც საქართველოში ბიძინა ივანიშვილი.

როგორ გგონიათ, რა რეაქცია მოჰყვა კაჩინსკის განცხადებას პოლონეთში? მოსახლეობის უმრავლესობამ ქვეყნის ლიდერს ტაში დაუკრა და საბოლოოდ დაიჯერა, რომ, სულ ცოტა, იმ დროის განმავლობაში, სანამ ხელისუფლებაში სწორედ აღნიშნული გუნდი იქნება, არავინ დაძრავს სიტყვას ერთნაირქესიან პირთა შორის ქორწინების დაკანონებაზე. არადა, ბოლო პერიოდში ამ თემაზე პოლონეთში რამდენიმე არასამთავრობო ორგანიზაცია აქტიურად საუბრობდა და პროპაგანდასაც ეწეოდა. რაც მთავარია, არც ერთი ქვეყნის ლიდერი არ გამოსულა და არ უთქვამს: კაჩინსკიმ ეს როგორ გაბედა, როგორ დაასხა თავზე ლაივი ჰომოსექსუალებსო. გაგიკვირდებათ და, ხმა არ ამოიღო არც ლუქსემბურგის პრემიერმა მსაპირე ბატელმა, რომელმაც ჯერ საკუთარ ქვეყანაში დააკანონა ერთნაირქესიანი პირების ქორწინება, მერე კი ბელგიელ არქიტექტორზე „გათხოვდა“... უფრო ზუსტად, „ცოლად მოიყვანა“... თუმცა, სჯობს, დავწეროთ, რომ ლუქსემბურგის პრემიერმა იქორწინა და ახლა ამ ორი კაციდან რომელია ცოლი და რომელი — ქმარი, თვითონ გარკვევენ. ჰოდა, იმას მოგახსენებდით, არც ლუქსემბურგის პრემიერს გაუპროტესტებია კაჩინსკის განცხადება და არ უთქვამს: ეგ როგორ გაბედა, ჩემი უფლებები დაირღვაო!

ახლა საინტერესო ის არის, ჩვენ რატომ ვიცავთ ასე თავგამოდებით ლგბტ თემის უფლებებს? უფრო სწორად, რატომ გვინდა, რომ მათ განუკითხაობას ზღვარი არ ჰქონდეს? დაცვაც არის და დაცვაც. არასამთავრობო სექტორი მაქსიმალურად ცდილობს, ამ ყველაფერს პროპაგანდა გაუწიოს, ანუ მხოლოდ იმას კი არ ამბობენ, რომ ისინი უნდა მოგვწოდებდეს, არამედ იმასაც გვაპარებენ, რომ ეს კარგია და მისაბაძიც. სამაგალითოდ სწორედ ევროპის ქვეყნები მოჰყავთ და ამბობენ, რომ ევროპაში ლგბტ თემის წარმომადგენელთათვის ნამდვილი

პოლიტიკოსები, რომლებიც ახლა იღებენ გადაწყვეტილებას და არიან ხელისუფლებაში, უნდა გამომიდნენ და საჯაროდ განაცხადონ ის, რაც კაჩინსკიმ თქვა. ამის შემდეგ, არც ლგბტ თემის წარმომადგენლებს გაუჩნდებათ ქუჩაში გამოსვლის სურვილი, არც სატელევიზიო შოუებში დაუთმობენ მათ დროს, არც იმას იტყვიან, რომ ლგბტ თემის წევრობა წარმატებისკენ გადადგმული ნაბიჯია... და ვიცხომვრებით ისე, როგორც აქამდე ვცხომვრდებით, და არა ისე, როგორც გვპაალებენ.

# კაჩინსკი: ჩვენ «არა»-ს ვუუბნებთ ქომოსექსუალთა ქორწინებას

## ჩვენი მთავრობა გაბედავს ამის გაგეგმვას?



**სწორად ის არის სიტყვის თავისუფლება, რას კაჩინსკი გააკეთა — გაგეგმა და თქვა ის, რასაც ფიქრობდა და რასაც უნდა განაცხადებდა. ის არ მოიხსნა ქართული პოლიტიკოსების, რომლებიც პირად საუბრებში აბობნებენ, რომ მათთვის ლგბტ თემი მიუღებელია, მაგრამ, ევროპა-ამერიკიდან თითის დაქნევის შიშით, ამას საჯაროდ ვერ ამბობენ. ამით პოლიტიკოსები აღიარებენ, რომ ჩვენი, ქართველი მოსახლეობის, თითის დაქნევის არ ეშინიათ და ეშინიათ იმ უცხოელების, რომლებსაც განაცხადებენ და საზრდოობენ.**

ნირვანაა, ხოლო ის ქვეყნები, რომლებშიც მათი „უფლებები“ იზღუდება, არადემოკრატიულია. არადა, როცა, მაგალითად, რუსეთში საკანონმდებლო დონეზე აიკრძალა ლგბტ თემის აქტივისტთა საჯარო შეკრება, საქართველოში ყველამ ტაში დაუკრა, თუმცა, როცა საქმე საქმეზე მიდგა და მონონებელი აკრძალვის საჯაროდ თქმა გახდა საჭირო, ყველა სოროში შეძრა. სამაგიეროდ, ტაში არ გაჩერებულა, როცა რამდენიმე კვირის წინათ საფრანგეთმა მშობლების გრაფიდან „დედა“ და „მამა“ ამოიღო და „მშობელი №1“ და „მშობელი №2“ დააკანონა. სა-

ვარაუდოდ, ნომრები რომ არ აერიოთ, ბავშვები დილაობით მშობლებს ხაზზე მოაწყობენ და პირველი-მეორეზე გაათვლევენ... არ თქვით ახლა, ლგბტ უფლებებს არღვევთო. არაფერსაც არ ვარღვევთ, უბრალოდ, რაც არ მოგვწონს, ვამბობთ, რომ არ ვარგა. თქვენ არ გვიმტკიცებთ, დემოკრატია და სიტყვის თავისუფლებაა?! ჩვენ თუ გვეკითხავთ, სწორედ ის არის სიტყვის თავისუფლება, რაც კაჩინსკიმ გააკეთა — გამოვიდა და თქვა ის, რასაც ფიქრობდა და რასაც უნდა განაცხადებდა. ის არ მოიქცა ქართველი პოლიტიკო-

სებივით, რომლებიც პირად საუბრებში აბობნებენ, რომ მათთვის ლგბტ თემი მიუღებელია, მაგრამ, ევროპა-ამერიკიდან თითის დაქნევის შიშით, ამას საჯაროდ ვერ ამბობენ. ამით პოლიტიკოსები აღიარებენ, რომ ჩვენი, ქართველი მოსახლეობის, თითის დაქნევის არ ეშინიათ და ეშინიათ იმ უცხოელების, რომლებსაც განაცხადებენ და საზრდოობენ.

ტომ, რომ ოჯახი ქალის და მამაკაცის თანაცხოვრებაა და, საბედნიეროდ, ეს ჯერჯერობით გვაქვს კონსტიტუციურად დაკანონებული, მაგრამ საკმარისია ლიბერალიზმის მიმდევართა დოზა გაიზარდოს ხელისუფლებაში ან საკანონმდებლო ორგანოში და პირველი, რასაც გააკეთებენ, სწორედ ამ კანონის მიღება იქნება. და ამას იმიტომ კი არ ვაკეთებენ, რომ ასე ფიქრობენ, არამედ იმიტომ, რომ დამატებითი გრანტები მიიღონ და დამატებითი შემოსავალი გაიჩინონ. და მათთვის სულერთია, ამ კანონით დაილუქება თუ არა ქვეყანა.

სწორედ ამიტომ ვამბობთ, რომ ის პოლიტიკოსები, რომლებიც ახლა იღებენ გადაწყვეტილებას და არიან ხელისუფლებაში, უნდა გამოვიდნენ და ხმამაღლა განაცხადონ ის, რაც კაჩინსკიმ თქვა. ამის შემდეგ, არც ლგბტ თემის წარმომადგენლებს გაუჩნდებათ ქუჩაში გამოსვლის სურვილი, არც სატელევიზიო შოუებში დაუთმობენ მათ არარეალურად დიდ დროს, არც იმას იტყვიან, რომ ლგბტ თემის წევრობა წარმატებისკენ გადადგმული ნაბიჯია და ვიცხომვრებით ისე, როგორც აქამდე ვცხომვრდებით და არა ისე, როგორც ახლა გვპაალებენ. როცა ტოლერანტობასა და ადამიანის უფლებებზე ვსაუბრობთ, რატომღაც ყველას ავიწყდება, რომ ლგბტ თემის წარმომადგენელთა დაცვის დროს ჩვენი, რიგითი ადამიანების, თავისუფლება იზღუდება, ჩვენი უფლებები ზარალდება, რადგან უმრავლესობას არ სიამოვნებს არც მათი გამოსვლება, არც აქტიურობა, არც პოპულარიზაცია... მაგრამ ჩვენს უფლებებზე არავინ ფიქრობს, რადგან ისინი უნდა გამოიყვანონ ნამებულად, ისინი უნდა შეეცოდოს ხალხს, რათა შემდეგ მათი ცხოვრების წესის თავს მოხვევა უფრო ადვილი იყოს.

ზუსტად ვიცი, ახლა ამ სიტყვაზე შემოგვედგებიან, ნორმალური რას ჰქვიაო. რას ჰქვია და იმას, რაც აქსიომა — ოჯახს იმ შემადგენლობით, ურთიერთობას ადამიანთა შორის იმნაირად, როგორც ბუნებას და ღმერთს დაუნწესებია, საზოგადოდ, ყველაფერს ჩვეულებრივსა და ნორმალურს. აბა, ნორმალური რომ იყოს, ან დაცვა რაში დასჭირდებოდა, ან ცალკე კანონი და, საერთოდ, ცალკე სახელწოდება. სწორედ ამიტომ ვითხოვთ პოლიტიკოსებისგან შესაბამისი განცხადების გაკეთებას და გვერწმუნეთ, მოსახლეობის მხარდაჭერა არ დააყოვნებს. თქვენც ხომ რეალურად ეს გჭირდებათ. მანამდე კი... მაისი მოდის...

**არც ერთი ქვეყნის ლიდერი არ გაგეგმა და თქვა: კაჩინსკი ეს როგორ გაბედა, როგორ დაასხა თავს ქომოსექსუალთა ქორწინებას, სხვა არ ამოიღო არც ლუქსემბურგის პრემიერმა მსაპირე ბატელმა, რომელმაც ჯერ საკუთარ ქვეყანაში დააკანონა ერთნაირქესიანი პირების ქორწინება, მერე კი ბელგიელ არქიტექტორზე «გათხოვდა»... უფრო ზუსტად, «ცოლად მოიყვანა»... თუმცა, სჯობს, დავწეროთ, რომ ლუქსემბურგის პრემიერმა იქორწინა და ახლა ამ ორი კაციდან რომელია ცოლი და რომელი — ქმარი, თვითონ გარკვევენ. ჰოდა, იმას მოგახსენებდით, არც ლუქსემბურგის პრემიერს გაუპროტესტებია კაჩინსკის განცხადება და არ უთქვამს: ეგ როგორ გაბედა, ჩემი უფლებები დაირღვაო!**





www.geworld.ge  
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



ხელისუფლებამ, რომ იტყვიან, „უნდა ილოცოს“, რათა არ მოხდეს ინციდენტი, რომელიც საზოგადოებას გააერთიანებს და ძუძუში გამოიყვანს. ის კალზე გალიზიანებულია და, 2018 წლის ივნისისგან განსხვავებით, სავარაუდოდ, გაცილებით ნაკლებ ყურადღებას მიაქცევს იმას, ღვანან თუ არა მის გვერდით აშკარა თუ შენიღბული ნაციონალური; სოლო, თუ ხელისუფლება დაკარგავს ძუძუს, ის კალიან სწრაფად დაკარგავს ყველაფერს.

19 მაისს შუალედური არჩევნები გაიმართება. ამ არჩევნების პოლიტიკური ფასი უფრო მაღალია, ვიდრე ცალკე აღებული მთაწმინდის მაჟორიტარის ან ზუგდიდის მერის სავარძლის. სწორედ მაისში გამოჩნდება, როგორ აისახა პოლიტიკურ პარტიებსა და ამომრჩეველთა განწყობაზე მმართველი ძალის კრიზისი.

„ევროპული საქართველო“ და „თავისუფალი დემოკრატები“ მთაწმინდის არჩევნებში ერთიანი ფრონტით გამოვლენ და მათი კანდიდატი **შალვა შავგულიძე** იქნება. „ნაციონალური მოძრაობა“ თავის კანდიდატს მთაწმინდაზე არ დააყენებს, ხოლო „ევროპული საქართველო“ — ზუგდიდში. ეს კი ამ პარტიების ელექტორატის კონსოლიდაციის შესაძლებლობას მისცემს. არც ის უნდა გამოვიცხოთ, რომ მათ რესპუბლიკელებიც მიბაძავენ და მთაწმინდაზე მხარს შავგულიძეს დაუჭერენ, მით უმეტეს, რომ ისინიც და „თავდემებიც“ საპრეზიდენტო არჩევნების პერიოდში მოუწოდებდნენ ამომრჩევლებს, ხმა „ნაციონალურ მოძრაობის“ კანდიდატ **გირიგოლ ვაშაძისთვის** მიეცათ.

მნიშვნელოვანია, რომ შალვა შავგულიძე ძველ რეჟიმთან არ ასოცირდება და მას ვერავინ უწოდებს **გირიგოლის** მკვლელობის თანამონაწილს ან **მეგის ქარდავას** თანამზრახველს. 2012 წლის პარლამენტში ის მოხვდა, როგორც „ქართული ოცნების“ წარმომადგენელი ვაკის მაჟორიტარული ოლქიდან. ხელისუფლება შეეცდებოდა, შავგულიძე და მისი თანაპარტიელები 2012 წლის იდეალების ღალატში დაადანაშაულოს, მაგრამ ძნელად შეუძლებელია, ეფექტიანი თუ იქნება ეს პროპაგანდა დღეს, როდესაც „ქართული ოცნება“ პარლამენტში **ვანო ზარდიაშვილი** საპატიო ადგილზე უზის და **ზურაბ ადგიშვილთან** ასოცირებული მოსამართლეების ე. წ. კლანისთვის ხელსაყრელ კანონებს წერს. **ამომრჩეველთა ნაწილმა შეიძლება ჩათვალოს, რომ „ქართული ოცნება“ 2012 წლის იდეალებზე საუბრის მორალური უფლება დაკარგა.**

„თავისუფალი დემოკრატების“ პოლიტიკური რესურსი მიზერულია, მაგრამ ის ძალიან სჭირდება „ევროპულ საქართველოს“ (და „ნაციონალურ მოძრაობას“), რათა უჩვენოს ამომრჩევლებს, რომ იზოლაცია გარდევულია და პარტიები, რომლებიც ადრე უპირისპირდებოდნენ, ახლა მათთან უპრობლემოდ თანამშრომლობენ. ეს იზოლაცია 2012 წლის არჩევნების შემდეგ ქართული პოლიტიკის ერთ-ერთ ქვაკუთხედს წარმოადგენდა. არსებობდა ორი იზოლირებული „ანკლავი“: ერთი მხრივ, „ნაციონალური მოძრაობა“, რომელსაც **საკაშვილის** ძველი ოპონენტები „ოპოზიციას“ არასოდეს უწოდებდნენ და დამანაშავეებად მიიჩნევენ, და „სხვა ოპოზიციას“, რომელიც გარკვეული დროის განმავლობაში ექცეოდა ნაციონალურებს, როგორც კეთროვნებს და მათთან კოოპერაციის ნებისმიერ ფორმატს გაურბოდა, მიიტომ, რომ საკუთარი ამომრჩევლების დაკარგვის ემინოდა. ამ პრობლემის დასაძლევად ნაციონალურმა 2018 წლის არჩევნების წინ ე. წ. გაერთიანებული ოპოზიციის შექმნის, რომლის კანდიდატად გრიგოლ ვაშაძე დასახელდა. მიუხედავად იმისა, რომ ამ გაერთი-

ანებაში შემავალი პარტიების შესახებ (ედვ-ს გარდა) თითქმის არაფერი არაფერი სმენია, ამ ფორმატმა „თავდემებსა“ და რესპუბლიკელებს ნაციონალურების მხარეზე გადასვლა გაუადვილა. „ქართულმა ოცნებამ“ თავის დროზე არ შეუშალა (და, სავარაუდოდ, შეუწყო) ხელი განხეთქილებას „თავისუფალი დემოკრატებისა“ და რესპუბლიკელების რიგებში, ამ პარტიების უკიდურეს დაუსტებებას და, საბოლოო ჯამში, ნაციონალურთან კოოპერაციის გარდა, სხვა გზა არ დაუტოვა. ცხადია, სააკაშვილის მოწინააღმდეგეების დიდი ნაწილი განხილულ ნაბიჯს აღიქვამს, როგორც რაღაც საშუალოს ღალატსა და პროსტიტუციის შორის და, ალბათ, არ დაფიქრდება იმაზე, რომ ამ პარტიების ლიდერებმა ალტერნატიული ვარიანტი, უბრალოდ, ვერ დაინახეს.

მთაწმინდა ერთ-ერთი გამოკვეთილი „ანტიინაციონალური“ ოლქია. 2016 და 2018 წლების არჩევნებში სააკაშვილის პარტიამ იქ ვერაფერი გაანყო. ნოემბერში, მეორე ტურში ზურაბიშვილმა მთაწმინდაზე ხმების 64.34% აიღო. თუ „ქართული ოცნება“ ადეკვატურ კანდიდატს დაასახელებს და რესურსულ უპირატესობას გამოიყენებს, შავგულიძეს, სავარაუდოდ, დაამარცხებს, მაგრამ უნდა გავითვალისწინოთ, რომ ფსონი გაცილებით დიდია, ვიდრე ერთი მაჟორიტარის მანდატი. **მთაწმინდის ოლქი იქნება პოლიგონი, რომელზეც 2020 წლის საპარლამენტო არჩევნების წინ ახალი „გაერთიანებული ოპოზიციის“ პრეზენტაცია, მისი შეკავშირება და ტაქტიკის მოსინჯვა მოხდება.** „ევროპული საქართველოსთვის“ ამ ეტაპზე გაცილებით მნიშვნელოვანია, აჩვენოს, რომ მასთან თანამშრომლობა არც ერთი პარტიისთვის სამარცხვინო და მიუღებელი არ არის, რომ ხელისუფლებისა და მისი ადმინისტრაციული ძალმომრეობის წინააღმდეგ გაერთიანებულია სრულიად ოპოზიციის (რათა მომზადდეს ნიადაგი ფორმული სთვის „ყველა მინუს ერთი“), რომ პროგრესული, პროდასავლური ძალები ერთად არიან და ა. შ.

**2018 წლის არჩევნებმა აჩვენა, რომ „ქართულმა ოცნებამ“ მნიშვნელოვანი დეგრადაცია განიცადა. ჩვენ შეგვიძლია გავისხენოთ წინასწარჩვენი კვლევები 15-20%-იანი ცდომილებით, ადმინისტრაციული რესურსის აღვირახსნილი გამოყენება, ზენოლოია იქ, სადაც ამის აუცილებლობა არ არსებობდა და კრეატიულობის უმწვავესი დეფიციტი. ბოლო თვეებში ვითარება უარესობისკენ შეიცვალა, მმართველ პარტიას უპირატესობა მოიპოვა ე. წ. ახალგაზრდა გენერაციამ, რომელიც, უხეში ზენოლოია გარდა, სხვა მეთოდებს თითქმის არ იყენებს. კავშირი ამომრჩეველთა დიდ ჯგუფებთან პრაქტიკულად დაკარგულია, სულ უფრო მეტი ადამიანი,**

# შუალედური არჩევნები და «შავგულიძის კაზუსი»



**ყველაზე დიდი ტრაგედია იმ ადამიანებისთვის, რომლებიც სააკაშვილის ხელისუფლებას ებრძოდნენ, არის ის, რომ შეიძლება კვლავ რაიმის ჩანსტაპრასია მოხდეს, თანაც დემოკრატიული პროცედურების დასვით. აღკვეთის ნაკბრძოლი ჩანდა, მაგრამ «ოცნება» ყველაფერი იმისთვის დაკარგა, რომ ეს ჩაალოება ექნა**



როგორც საქართველოში, ისე მის ფარგლებს გარეთ, მიდის დასკვნა, რომ 2020-ში „ქართული ოცნება“ უნდა ნაწილად იყოს. ამ კონტექსტში ყველაზე დიდი ტრაგედია იმ ადამიანებისთვის, რომლებიც სააკაშვილის ხელისუფლებას ებრძოდნენ, არის ის, რომ შეიძლება ძველი რეჟიმის რესტავრაცია მოხდეს, თანაც დემოკრატიული პროცედურების დასვით. ადრე ეს წარმოუდგენელი ჩანდა, მაგრამ „ოცნება“ ყველაფერი იმისთვის დაკარგა, რომ ეს რეალობად ექცია. 2018 წლის საპრეზიდენტო არჩევნები პირველი ზარი იყო, 2019 წლის შუალედური — მეორე ზარი გახდებოდა, 2020 წლის საპარლამენტო კი, სავარაუდოდ, — ბოლო.

ზუგდიდის მერის არჩევნებზე სიტუაცია განსხვავებულია. ზუგდიდი „ქართული ოცნებისთვის“ ტრადიციულად რთული რეგიონი იყო — 2012-

წლის ითვლებოდა, მიუხედავად იმისა, რომ იურიდიულად ამ პოსტის დაკავება არ შეეძლო. ერთ-ერთი (მაგრამ არა ერთადერთი) მოტივი, რომელიც ამ კანდიდატურის შერჩევას უკან დგას, ისევე და ისევე იზოლაციის გარდევვის სურვილია, მით უმეტეს, რომ „ნაციონალურმა“ საპრეზიდენტო არჩევნების პერიოდში გრიგოლ ვაშაძეს ოპოზიციის გამაერთიანებლად, მისი საერთო ინტერესის გამოხატვად და მმართველობის დასაძლევად, თანაც სააკაშვილისთვის დამახასიათებელი უხეში ავტორიტარული სტილის გარეშე. ახალმა თავმჯდომარემ სააკაშვილისთვის, რომელიც ბოლო წლებში ქართული პოლიტიკის მთავარ საფრთხილად ჩამოყალიბდა, ერთგვარი შირმის როლი უნდა შეასრულოს და დაამტკიცოს, რომ გაერთიანება და თანამშრომლობა ნაციონალურებთან არც საშიშია და არც

სამარცხვინო; დაარწმუნოს საზოგადოება, რომ ძველი რეჟიმის არასოდეს განმეორდება. ცხადია, საზოგადოების ნაწილი კვლავ ჩათვლის, რომ ნაციონალურების დაბრუნება ხელისუფლებას ტოტალური ტერორით დაგვირგვინდება, მაგრამ ნაწილი, განსაკუთრებით ახალგაზრდები, რომელთაც საკუთარი თვალთვლით არ უნახავთ, არ განუცდიან, რას სწავლიდა ხელისუფლება 2004-12 წლებში, შეიძლება სხვა დასკვნამდე მივიდეს.

არჩევნებისთვის მზადების პარალელურად, ნაციონალურებმა და „ევროქართველებმა“ შეიძლება მაჟორიტარული არჩევნების გაუქმების თემა განავითარონ. ცოტა ხნის წინათ ისინი, აგრეთვე, ფიქრობდნენ რიგგარეშე არჩევნებისა და სალომე ზურაბიშვილის გადაყენების თემებზე, თუმცა ამ ეტაპზე, როგორც ჩანს, უპერსპექტივოდ ჩათვალეს. ხელმძღვანელების შეგროვება მაჟორიტარული არჩევნების გაუქმების მოთხოვნით, ადრე თუ გვიან, დასრულდება და მისმა ინიციატორებმა შეიძლება მიზანშეწონილად ჩათვალოს ქუჩის აქციების დაწყება, რაც შუალედური არჩევნების წინ ტემპერატურის აწევის კონტექსტში მათთვის შეიძლება მომგებიანი გამოდეს.

მაგრამ არის მნიშვნელოვანი პრობლემები, რომლებიც ნათლად გამოჩნდა **ზაზა სარალიძის** მიერ ორგანიზებული აქციების მიმდინარეობისას, აგრეთვე, საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ: 1. ნაციონალურებს ქუჩაში ბევრი მხარდამჭერი ვერ გამოეყოფა; 2. სხვა პარტიებისა და ორგანიზაციების წარმომადგენლებს, საზოგადო მოღვაწეებს, მცირე გამოხატულების გარდა, ნაციონალურების გვერდით ქუჩაში დგომა არ სურთ. სუსტმა, მცირერიცხოვანმა აქციებმა ნაციონალურებსა და მათ პარტნიორებს შეიძლება დიდი საიმიჯო ზიანი მოუტანოს, როგორც ეს უკვე არაერთ ზვის მომხდარა (გასულ წელს — ივნისსა და დეკემბერში). ამგვარად, ისინი სერიოზული დილემის წინაშე აღმოჩნდებიან.

ხელისუფლებამ კი, თავის მხრივ, რომ იტყვიან, უნდა ილოცოს, რომ არ მოხდეს ინციდენტი, რომელიც საზოგადოებას გააერთიანებს და ქუჩაში გამოიყვანს. ის ძალზე გალიზიანებულია და, 2018 წლის სავარაუდოდ, გაცილებით ნაკლებ ყურადღებას მიაქცევს იმას, ღვანან თუ არა მის გვერდით აშკარა თუ შენიღბული ნაციონალური; სოლო, თუ ხელისუფლება დაკარგავს ქუჩას, ის ძალიან სწრაფად დაკარგავს ყველაფერს.

**P.S. „ქართულმა ოცნებამ“ მთაწმინდის მაჟორიტარ კანდიდატად ლადო კახიანი წარადგინა.**





www.geworld.ge  
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

გასულ კვირას სალომე ზურაბიშვილმა პრეზიდენტად არჩევის შემდეგ ქართულ ტელეკომპანიას პირველი ვრცელი, საათნახვერიანი ინტერვიუ მისცა. „ტვ პირველის“ ეთერში გასულ ინტერვიუში მან რამდენიმე საგულისხმო აქცენტი გააკეთა, რომლებიც მიაჩნია, რომ ზურაბიშვილი არ აპირებს, ქართულ პოლიტიკაში სტატუსის როლით დაკმაყოფილდეს.

პრეზიდენტის კომენტარები ინაუგურაციიდან დღემდე, რომლებიც უცხოურ მედიაში გამოქვეყნდა, ასე თუ ისე, დაბალანსებული იყო. ზოგიერთი მათგანი მის ოპონენტებსაც კი მოეწონა. ამავე პერიოდში ნელ-ნელა დაცხრა საპრეზიდენტო არჩევნების ვენბათ-აღლევაც. თუ ადრე ნაციონალიზმი და მათი სატელიტები ამბობდნენ, რომ ზურაბიშვილს პრეზიდენტად არ აღიარებენ, მის გადადგომას მოითხოვენ, რადგან თანამდებობის დაკავებისთანავე ქვეყანას რაღაც საშინელებას დამართებს, დღეს მსგავსმა შეფასებებმა სიმწვავე დაკარგა, ზურაბიშვილს შედარებით იშვიათად ეხებოდა. თუმცა, როდესაც საბაბი ეძლევათ, მის წინააღმდეგ სოციალურ ქსელებში ხმაურიან კამპანიებს აწყობენ, მაგრამ რამდენადმე სისტემური ხასიათი მათ არ აქვს. ასე იყო ვილნიუსში ჩასვლის პერიოდში, როდესაც ზურაბიშვილს ბენვის ქურქი ეცვა, მაშინ თითქმის ყველა ნაციონალი „ფეისბუქში“ ცხოველების უფლებების დამცველად იქცა და საცოდავ დახრილ ცხოველებზე საუბრობდა. ასე იყო მაშინაც, როდესაც ზურაბიშვილმა გააკეთა კომენტარი აზერბაიჯანის ტერიტორიულ მთლიანობაზე, რომელიც ერევანში არ მოეწონათ. ასე იყო ტელე-ინტერვიუს შემდეგაც, როდესაც ზურაბიშვილმა კიდევ ერთხელ ისაუბრა ავგისტოს ომზე, კერძოდ კი თქვა, რომ ომი რუსეთმა დაიწყო, მაგრამ სააკაშვილმა ცხინვალის დაბომბებით შეცდომა დაუშვა — „საკაშვილმა დაბომბა ჩვენი ტერიტორია 7 ავგისტოს ღამეს და ეს არის ის დანაშაული, რომელიც პრეზიდენტისა და ჩვენი გასარჩევია მიგნით“.

როგორ შეიძლება, ერთი მხრივ, ხელი მოაწერო ამ ტექსტს და, მეორე მხრივ, ზურაბიშვილი მისი სიტყვების გამო ღალატში დაადანაშაულო, თუმცა „ნაციონალიზმისთვის“, როგორც ჩანს, შეუძლებელი არაფერია. კონფლიქტური რეგიონების კონტექსტში აუცილებელია უნდა შევხებით სალომე ზურაბიშვილის განცხადებას (რომელიც მისმა პრესსპიკერმა გაახშირანა) იმის თაობაზე, რომ „უენევის ფორმატი არ პასუხობს იმ მოთხოვნას, რომელიც დღეს საქართველოს სჭირდება. მაღალი პოლიტიკური დიალოგი არ ინარჩუნებს უენევის მოლაპარაკების ფორმატში“, თუმცა არაფერი კონკრეტული ახალ ფორმატზე არ თქმულა. „ჯერ, ამ ეტაპზე, არ შეიძლება გითხრა, ვინ იქნება ამ ფორმატში. ამ ეტაპზე განიხილება საკითხი, რომ უნდა შემუშავდეს ასეთი ფორმატი“, — განაცხადა ხატია მოისწრაფიშვილმა. როგორც ჩანს, სალომე ზურაბიშვილს სურს, საგარეო პოლიტიკაში გარკვეული ნიშა მოძებნოს. ამ ეტაპზე ის ძალიან სკეპტიკურად უყურებს მოსკოვთან პირდაპირი დიალოგის პერსპექტივას, დასავლელი შუამავლების გარეშე, რაც, ფაქტობრივად, გამოირიცხავს რუსეთის პირველ პირთან მისი მოლაპარაკების შესაძლებლობას, მითუმეტეს, რომ ზურაბიშვილი ამისთვის აუცილებელ ნინაპირობებს ვერ ხედავს: „არ გვგვამა და არც შეიძლება, რომ დაიგეგმოს ასეთი დიალოგი“... ასეთი თეზისებები თუ და როცა შედგება, უნდა იყოს მომზადებული რაღაცით, ... თუ რუსეთმა არ გვაჩვენა რაღაც ნიშნებით, თუნდაც ბორდერიზაციაზე, რომ შეჩერდა, რომ აღარ არის გატაცებები, პროვოკაციები, თუ პირველი ნიშნები არ გაჩნდა, რომ რაღაც სხვა დამოკიდებულება შეიძლება ჰქონდეს რუსეთს, რა აზრი აქვს დიალოგს“ („ტვ პირველი“).

აშკარაა, რომ ზურაბიშვილს სურს, იმუშაოს საგარეო პოლიტიკაზე, იმ სფეროში, რომელიც მისთვის კარგად ნაცნობია და საინტერესოა თვალსაზრისით მომგებიანია, უპირველესად, მოუგვარებელი კონფლიქტების მიმართულებით. ეს ხდება იმ ფონზე, როდესაც „ქართული ოცნება“ დრამა პოლიტიკურ კრიზისში ჩაეფლო, საგარეო პოლიტიკას ნაკლებ ყურადღებას აქცევს და, ფაქტობრივად, გადასულია დასავლელი პარტნიორების კონტაქტის მოგვირგობაზე არჩევნების (ცუდად ჩატარებისა და სხვადასხვა დარღვევის გამო. ამ პრობლემებისგან ზურაბიშვილი დემონსტრაციულად დისტანცირებულია: „პრეზიდენტი უნდა იყოს ყველას პრეზიდენტი და არ უნდა იყოს რომელიმე პარტიის პრეზიდენტი... ქვეყანას სჭირდება განონასწორებელი პრეზიდენტი, რომელიც პოლიტიკური პარტიებსა და მათ ყოველდღიურ ჭიდაობაში მღვრილი სათქმელია,

რუსები საკმაოდ ბალიზინაშვილი ჩანან მას შემდეგ, რაც ზურაბიშვილმა ვილნიუსში განაცხადა, რომ საქართველო უარს არ იტყვის ნატოსა და ევროკავშირში შესვლაზე, რაოდენ ბუნდოვანიც უნდა იყოს ეს პერსპექტივა, შემდეგ მან თქვა, რომ რუსეთთან დიალოგის პერსპექტივას ამ მოცემულობაში ვერ ხედავს, ბოლოს კი, გარდაბანში ეთნიკურ აზიარბიზმთან შეხვედრაზე განაცხადა: „ამ თქვენთან ვერ ვისაუბრებ რუსულ ენაზე. ეს გამორიცხებულია, რადგან ეს არ არის ის ენა, რომელიც გვპირიანება“. ყოველივე ამის შემდეგ რუსულ მედიაში გახშირდა ნეგატიური კომენტარები, ერთ-ერთმა რუსმა ქმსპერტმა, სტანისლავ ტარასოვმა, ზურაბიშვილს ნოე ჟორდანიას გზის გაიმორჩაბაც კი უწინასწარმეტყველა.

# რა თაბაში ნაგორიწყო სალომე ზურაბიშვილმა?



ლა დგას. ქვეყანას სჭირდება პრეზიდენტი, რომელიც არ არის მიკერძოებული რომელიმე მხარის მიმართ“, — განაცხადა მან განხილულ ინტერვიუში. აქ, ალბათ, ერთი გარემოება უნდა გავითვალისწინოთ: როდესაც „ქართული ოცნება“ ძლიერია, პრეზიდენტი შიდა პოლიტიკაში ნომინალურ როლს ვერ ვასცდება, მაგრამ, თუ მმართველი პარტიის კრიზისი დამანგრეველი შედეგებით დასრულდება, პრეზიდენტის როლი, როგორც მმართველის, სტაბილურობისა და კონსტიტუციური წესრიგის მთავარი გარანტის, შეიძლება სწრაფად გაიზარდოს, დაახლოებით ისე, როგორც ეს ცოტახნის წინათ მეზობელ სომხეთში მოხდა, სადაც, ფაქტობრივად, უფლებები პრეზიდენტი არმენ სარქისიანი ხელისუფლების მშვიდობიანი შეცვლის პროცესში ერთ-ერთი საკვანძო ფიგურა გახდა. მაგრამ, თუ ზურაბიშვილი ამ საკითხების მიმართ ნაადრევ ყურადღებას გამოავლენს, ივანიშვილს შეიძლება ეჭვი გაუჩნდეს, ისევე, როგორც ეს მარგველაშვილის შემთხვევაში მოხდა. შესაძლოა, ამიტომ სალომე ზურაბიშვილი ცდილობს, აჩვენოს, რომ მისი პრიორიტეტი საგარეო პოლიტიკაა.

და უკონტროლო დაპირისპირებების ესკალაცია დაიწყება. ასეთ ვითარებაში დღის წესრიგში შეიძლება პრეზიდენტის უფლებების გაფართოების საკითხი დადგეს. იქამდე კი ზურაბიშვილი, საგარეოდ, შეეცდება, საშინაო პოლიტიკური საკითხებისგან მასპინძელურად დაშორებული იყოს და საგარეო ასპარეზზე თუნდაც სიმბოლური წარმატებები მოიპოვოს, თუმცა დღეს აშკარაა, რომ ეს რუსეთთან ურთიერთობის დარღვევებებს ვერ მოიტანს. რუსები საკმაოდ გაღიზიანებული ჩანან მას შემდეგ, რაც ზურაბიშვილმა ვილნიუსში განაცხადა, რომ საქართველო უარს არ იტყვის ნატოსა და ევროკავშირში შესვლაზე, რაოდენ ბუნდოვანიც უნდა იყოს ეს პერსპექტივა. შემდეგ მან თქვა, რომ რუსეთთან დიალოგის პერსპექტივას ამ მოცემულობაში ვერ ხედავს. ბოლოს კი, გარდაბანში ეთნიკურ აზიარბიზმთან შეხვედრაზე განაცხადა: „მე თქვენთან ვერ ვისაუბრებ რუსულ ენაზე. ეს

